Published by Intelekti Publishing, 2020

# აკუმი

## (ნაწყვეტი)

*„არ ვიცი, საიდან დავიწყო და სად დავამთავრო, რადგან თავად ცხოვრებას არც დასაწყისი გააჩნია და არც დასასრული... ამიტომ დავიწყებ ზუსტად შუიდან და დავამთავრებ ზუსტად შუაში.“*

*ოშო, „უზენაესი დოქტრინა“*

**თბილისი, 2004 წელი**

მებაღე ზაქარია საკუთარმა სახელმა გამოაღვიძა. ნელა წამოიმართა – ყოჩაღი მოხუცი კი იყო, მაგრამ წნევა დაბალი ჰქონდა და თავბრუ რომ არ დასხმოდა, დილაობით ფრთხილ-ფრთხილად დგებოდა ხოლმე.

სახელი ბაღის მეორე ბოლოდან მოისმოდა და საცოდავად ცახცახებდა – დამძახებელს უჭირდა.

ზაქარიამ ფეხები გაქუცულ ტყავის ქოშებში წაყო და ქოხიდან გავიდა. დილაბინდი იყო, გაზაფხულის პირველი დღე, ზამთარი ჯერ ისევ იკბინებოდა.

–ზაქარია! ზაქარია! – აკაკი მინდელს მუცელზე ხელაფარებული ცოლი კიბეზე ჩამოჰყავდა. ქალი კვნესოდა.

–მომეხმარე!

ზაქარია ქალს მხარში შეუდგა. აკაკიმ მანქანასთან მიირბინა, დაქოქა და მოატრიალა. ზაქარია ქალს ჩაჯდომაში მიეშველა.

არაფერი თქმულა, არც „მადლობა“, არც „ღმერთმა მშვიდობით გატაროთ“, არც „მალე მოვალთ“. ზაქარიამ იფიქრა, სასწრაფოს გამოძახება სჯობდაო, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ჭიშკარი დაკეტა და შემობრუნებულმა ისე, უბრალოდ, ახედა ვაშლის ხეს. და მაშინ, სწორედ მაშინ შენიშნა ტოტებზე ჩამომსხდარი ჭიამაიები. მებაღეს ეოცა. დანარჩენ მცენარეებსაც მოავლო თვალი. ყველგან ჭიამაიები გაყურსულიყვნენ. ნიავი არ იძვროდა, ბუნება დუმდა და ჭიამაიებიც მასთან ერთად თითქოს რაღაცას ელოდნენ.

ალბათ, შემაწამვლინებენო, – გაუელვა ზაქარიას, – „არ შევწამლავ“, – გადაწყვიტა იქვე. – „იმათ არ ვეტყვი, თითონ თუ არ შეამჩნიეს. თუ შეამჩნიეს, ჰო, შევწამლავ-მეთქი და არ შევწამლავ.“

ძილის შებრუნებას აზრი არ ჰქონდა – მზე მალე ამოიწვერებოდა. ზაქარია ქოხში შევიდა და შეშის ღუმელს შეუკეთა.

***

„მოვკვდები“.

სიკვდილი მართლაც იქვე იყო, მის სუნთქვას ყურთან გრძნობდა.

„ნამდვილად მოვკვდები“.

ტკივილი მთელ სხეულს უტევდა, მარტო მუცელს კი არა, გონებასაც თავს ესხმოდა და ფიქრებს ურევდა. ორივე ხელი მუცელზე ედო, სურდა, ტკივილი იქ გაჩერებულიყო, ასე არ ებორიალა. ამაოდ.

–მალე მივალთ, ეხლავე, ამწუთში... – გაუთავებლად იმეორებდა ქმარი და ხელის კანკალით მართავდა მანქანას.

ქუჩები უკაცრიელი იყო. ერთი–ორი მათხოვარი გაშხლართულიყო ალაგ–ალაგ, ტროტუარებზე. მათაც ეძინათ.

ქმარმა უხეშად დაამუხრუჭა. მივარდა, კარი გამოაღო და ხელი გაუწოდა:

–ნელა, ფრთხილად, ნუ გეშინია, ასე...

კლინიკის მისაღებში წითელტუჩება ქალი თვლემდა ზეზეულად, ნიკაპი ხელისგულზე ჩამოეყრდნო და თვალები მიელულა.

–დამეხმარეთ! – შეჰყვირა ქმარმა.

ქალი შეხტა.

–ჩემი ცოლი...

–მშობიარე გვყააავს! – ვიღაცას გასძახა ქალმა.

ხალხი შემოეხვია, ბევრი ხალხი, სულ თეთრხალათიანები. საკაცეზე დააწვინეს და წამლის სუნად გაჟღენთილ, თეთრ, თეთრ ოთახში შეიყვანეს. ტკივილი მისუსტდა.

ექიმმა გასინჯა:

–ჰოო... გაატარ–გამოატარეთ. უნდა გაუძლოთ, ქალბატონო...

საკაციდან წამოიწია, მაგრამ ტკივილმა ისევ მიაგდო.

–წამოჯექით, ქალბატონო... წელი დაუზილეთ, მოეშვება ცოტა. ასეა, პირველი ძნელია ყოველთვის... მოითმინეთ, ქალბატონო, ორ თითზეა გახსნილი ჯერ...

სიტყვები ესმოდა, მათი მნიშვნელობა – არა. ტკივილი ისევ დაერია ფიქრებს.

***

რას წარმოიდგენდა, ასეთი სანერვიულო თუ იქნებოდა! ახლაღა შენიშნა სხვა ქმრები, მოსაცდელში ბოლთას რომ სცემდნენ. თვითონ იჯდა და ადგილზე მოუსვენრობდა.

–კარგად იქნება ყველაფერი, ხო თქვა ექიმმა...

–ბიჭო, ხო, მარა დიდია, ტოო...

ამისი არ ეშინოდა, მის გოგოზე ექიმს მსგავსი არაფერი უთქვამს. მაინც ნერვიულობდა, მაინც ვერ პოულობდა ადგილს.

არადა, ეს ბავშვი ხომ არ უნდოდა, არც მას, არც მის ცოლს. მის მშობლებს უნდოდათ, სანათესაოს, მას და მის ცოლს – არა. არც ოჯახი უნდოდა. მხოლოდ იმიტომ შექმნა, რომ ასე იყო მიღებული, ოჯახებად ცხოვრობდა ხალხი. და მაინც, ისე ეშინოდა ახლა... როცა გამთენიისას ცოლის პირველი კვნესა გაიგონა და მიხვდა, რომ უკვე დრო დამდგარიყო, უცებ ისე შეეშინდა... ერთი მოჩამჩამებული მეზობლის ნათქვამი გაახსენდა, მშობიარეს ცალი ფეხი სამარეში უდგასო.

ეგ ადრე იყო, ახლა წინ წავიდა მედიცინა და საფრთხემაც იკლოო, – სცადა თავის დამშვიდება, – „არაფერმაც არ იკლო. ვერ გავაკონტროლებთ. ამას ბოლომდე ვერასოდეს გავაკონტროლებთ.“ – არ დაახანა შიშმაც.

–მაგისმა რძალმა ხო საკეისროთი გააჩინა.

–უი, რას ამბობ!

–ხო, ჯდომით იყო და არ შემოტრიალდა.

საათს შეხედა. ექვსი ხდებოდა. წამების ისარი მოსაჩვენებლად მოძრაობდა. დრო არ გადიოდა.

„ნეტა, მშვიდობით ჩაიაროს, ნეტა...“

გაახსენდა, როგორ გაულიმა ეკამ, იები რომ აჩუქა. იები კი მიმჭკნარი იყო – ეკას დაბადების დღემდე ორი დღით ადრე იყიდა, შეეშინდა, ვაითუ, ასეთი ლამაზები მერე აღარ შემხვდესო. მაშინ ჯერ არ იყვნენ ცოლ–ქმარი. ერთხელ ენახათ ერთმანეთი, სუფრაზე, როგორც შემდეგ გამოირკვა, საგანგებოდ მათთვის მოწყობილზე. ანას უყვარდა იები და იფიქრა, ალბათ, ამასაც ეყვარებაო და აჩუქა. და რომ მოუბოდიშა, ორი დღე სახლში მქონდაო, მომავალმა ცოლმა სწორედ მაშინ გაულიმა. როგორ ინატრა, ნეტა, ანას გაეღიმაო ასე. ანა უკვე წასული იყო, მშობლები დაჟინებით სთხოვდნენ ცოლის მოყვანას. მანაც იქორწინა.

სანიტარმა გამოირა. მივარდა, ცოლის ამბავი ჰკითხა.

–პირველი მშობიარობაა?

–რა? ა, კი, დიახ.

–დაელოდეთ, ბატონო, ასე უცებ არ იქნება, – ჩაეცინა სანიტარს.

და ის იყო, უნდა ეთქვა, მთელი საათია, აქა ვარო, რომ საათს გახედა და აღმოაჩინა, ჯერ ათი წუთიც არ გასულიყო.

ჩამოჯდა და სახე ხელებში ჩარგო.

–თქვენი ბიჭია?

–ტყუპები: ბიჭი და გოგო, ასე გვითხრეს.

–ხო, ჩვენი ბიჭია.

–მასე იცოდა ჩემმა მაზლიშვილმაც და კი ეყოლა გოგო, ეშლებათ მაგათ რაღაცები...

***

ზაქარია ძელსკამზე იჯდა, ქოხის კედელს მიყრდნობოდა და ჩაის წრუპავდა, თან ვაშლის ხეს აკვირდებოდა. ჭიამაიები ადგილიდან არ იძვროდნენ. ზაქარიამ გონება დაძაბა, სცადა, გაეხსენებინა, ვასკა პაპას რამე თუ ჰქონდა ნათქვამი ჭიამაიებზე.

,,ამათ რომ უყურებ, და–ძმები არიან ჩვენი – აემ პაწია ფეხებით მტვერი გადააქვთ ერთი ყვავილიდან მეორეზე. თუ დაინახო, არ მოკლა, იცოდე, მოუფრთხილდი.“ – ამის მეტი ვერაფერი მოაგონდა. ყოველ შემთხვევაში, ვასკა პაპას ჭიამაიების შემოსევა არასოდეს უხსენებია. ზაქარია არც შეგირდობაში მოსწრებია რამე მსგავსს. გულშემოყრილმა ამოიოხრა და კინაღამ ძელსკამიდან გადმოვარდა.

ოხ, ეს წყეული! სულ ავიწყდება, რომ უნდა გაამაგროს!

რა ჯანდაბაა! კაცი ხე–მცენარეების მოვლაში დაბერდა და ახლა დოყლაპიასავით მისჩერებია ჭიამაიებიან ვაშლის ხეს.

ეგებ დახოცილები არიანო, – ჩაის ჭიქა ძელსკამზე დადგა და მივიდა ახლოს. ტოტისკენ თითი გაიშვირა, წითელ, შავწინწკლებიან ჭიამაიას უნდა შეხებოდა, მაგრამ იმან უკან დაიხია. დანარჩენებიც აჩოჩქოლდნენ. ზაქარიამ ახლაღა შენიშნა, სხვადასხვა ფერის რომ იყვნენ: ლურჯები თეთრი წინწკლებით, მწვანეები შავი წინწკლებით, თეთრები შავი წინწკლებით... ორ ერთნაირს ვერ ნახავდი.

,,ვაჰ, რა ქრისტე ღმერთის სამოსივით ლამაზები არიან ეს დალოცვილები“.

მზე ამოიწვერა და ცა შეავარდისფერა. ჭიამაიები გამოცოცხლდნენ, გამალებული მისვლა–მოსვლა გააჩაღეს, ერთმანეთს აწყდებოდნენ. სხვა ხეებიც შეათვალიერა ზაქარიამ – ყველგან ეს ამბავი იყო. და მებაღემ ღრმად შეისუნთქა გრილი ჰაერი, რომელმაც აღმოსავლეთიდან სიოდ დაჰბერა.

***

როცა ტირილი გაიგონა, მაშინღა მიხვდა, რომ დამთავრდა.

–მე მგონი, გოგოა.

–რას ქვია, „მე მგონი“?! შემახედეთ!

დუმილი ჩამოდგა. მხოლოდ ტირილი ისმოდა.

–კარგი, დაუწვინეთ დედას, მერე ვნახოთ...

დაუწვინეს, სველი, სლიკინა, ჩხავანა. როგორც კი დაუწვინეს, ტირილი მაშინვე შეწყვიტა, თავი ასწია და დედას ძალიან დაკვირვებით ჩახედა თვალებში.

თავიდან იფიქრა, ალბათ, მეჩვენებაო, – ახალშობილს ვერ ექნებოდა ასეთი მზერა. ჩვილი კი თვალებში უყურებდა, ჯიუტად, ფიქრიანად. სხვა ვერაფერი მოისაზრა და თავზე აკოცა. ახალშობილმა მზერა მოაცილა და ლოყა მკერდზე მიადო.

ეს ეპიზოდი მუდამ თვალწინ ედგა, მაგრამ არავისთვის უამბია, გულში დაიმარხა.

***

მე მახსოვს ჩემი დაბადება. მანამდეც მახსოვს, რა იყო. მე ვიდექი უფსკრულთან. იქ იყო კაცი, რომელსაც ეცვა რაღაც შავი, ანაფორის მსგავსი, და ეჭირა ~~ლამფა~~ სანათი.

–ჩახტი, – მითხრა კაცმა, – ჩახტი, ჩახტი.

მეც ჩავხტი და იქ აღმოვჩნდი. არაფერი ჩანდა. ვგრძნობდი, რომ ვიყავი. ჩემში რაღაც სითხე ჩადგა და ორად გამყო. ~~ერთი ჩემი~~ ჩემი ერთი ნაწილი გარს შემომერტყა, მეორე, ნამდვილი მე, შიგნით დარჩა. რაღაცას მოვეჭიდე. ამ რაღაცას ~~ვანადგურებდი~~ ვთხრიდი და მის ადგილს ვიკავებდი, უფრო და უფრო ღრმად ვიჭრებოდი.

მე ვიცვლებოდი. ნელ–ნელა სხვადასხვა ნაწილები გამომეყოფოდა, მაგრამ მე არ ვიყოფოდი, მთლიანი ვიყავი. პირველად ის ადგილი გაჩნდა, რომელიც მერე პირად იქცა. შემდეგ – სხვა ნაწილები.

ცუდი ისაა, რომ მანამდე რაც იყო, ყველაფერი დამავიწყდა. მახსოვს მხოლოდ კაცი, რომელსაც ეცვა რაღაცა შავი და მითხრა, ჩახტი, ჩახტი, ჩახტიო, – და მეც ჩავხტი.

***

ექთანი გამოვიდა და დაიძახა:

–მინდელი!

აკაკი წამოხტა.

–ექიმს უნდა თქვენი ნახვა, წამომყევით.

აკაკის სურდა, ეკითხა, ხომ კარგად ჩაიარა ყველაფერმაო, მაგრამ ენა ვერ დაძრა. შუშის კედლის წინ გაჩერდნენ.

–ხვალ გადავიყვანთ პალატაში, ექიმს დაელოდეთ, მოვა.

ეკა საწოლში წამომჯდარიყო, პატარას უნანავებდა. აკაკის დანახვაზე გაიღიმა და ჩვილი შეატრიალა, რომ მამისთვის ეჩვენებინა. ახალშობილს თვალები დახუჭული ჰქონდა, სახეს იჭმუხნიდა და ხელებს აფართხალებდა. აკაკიმ თითით შუშაზე მიუკაკუნა, გაუცინა დედა-შვილს.

-მინდელის მამა თქვენა ხართ?

აკაკი შებრუნდა. ექიმი სათვალეს წმენდდა.

-კი, მე ვარ.

-ხოო... წამობრძანდით, ჩემთან დავილაპარაკოთ.

-მშვიდობაა?

-მშობიარობამ გართულების გარეშე ჩაიარა, სხვა რამეზე უნდა დავილაპარაკოთ.

ექიმის კაბინეტი ძველებურ ყაიდაზე იყო მოწყობილი. ხის მაგიდას შუშა ეფარა, შუშის ქვეშ კალენდარი მოეთავსებინათ. მაგიდაზევე იყო საკალმე, სხვადასხვა წამლის ფირმის კალმებით. კედელზე სათადარიგო თეთრი ხალათი ეკიდა.

დანარჩენი აკაკის ბუნდოვნად ახსოვს: ექიმმა ახსენა თანდაყოლილი ანომალია, რაღაც სინდრომი, და რომ შეუძლებელია, ადამიანი უსქესოდ დაიბადოს, მაგრამ შესაძლებელია, სქესი გარეგნულად არ გამოიხატოს; რომ ამ სინდრომზე ბევრი არაფერი იციან, რადგან ის აქამდე მხოლოდ მკვდრადშობილი ჩვილებისთვის აღმოუჩენიათ...

აკაკი დუმდა, მოკუნტული იჯდა და ექიმის ყოველ სიტყვაზე უფრო და უფრო პატარავდებოდა. ექიმმა ხელი გაუწოდა, აბა, თქვენ იცითო.

აკაკი შეკრთა. წამოდგა, ექიმს ხელი ჩამოართვა, კიდეც გაუღიმასავით და სიტყვის უთქმელად დატოვა კაბინეტი.

***

პროფესორ ანდრო ვაჩნაძეს ეს დღე სამუდამოდ ემახსოვრება. წესით, განსაკუთრებული არაფერი არ უნდა ყოფილიყო. არც სტუდენტები ელოდნენ რამე ასეთს. ამიტომ პროფესორი ხუმრობის გუნებაზეც კი დადგა, როცა ერთ-ერთმა სტუდენტმა ყოყმანით თქვა ახალშობილზე, მე მგონი, გოგოაო; მაგრამ ჩვილს დახედა თუ არა, დამცინავი ღიმილი სახეზე შეაშრა - იქ, სადაც გარეთა სასქესო ორგანოები უნდა ყოფილიყო, არაფერი იყო, კრიალა კანის გარდა. დათვალიერებისას ექიმმა ვერ აღმოაჩინა სასქესო ორგნოების განვითარების მცირე ნიშანიც კი. იყო მხოლოდ მომცრო ხვრელი შორისის მიდამოში, რომელიც, სავარაუდოდ, საშარდე მილი უნდა ყოფილიყო (ეს პროფესორმა მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე დაასკვნა).

-ზინგერ-კვაშალის სინდრომს ჰგავს, - თქვა, როცა გაკვირვებისგან ცოტა სული მოითქვა, - დედას დაუწვინეთ ცოტა ხანი. დამატებითი გამოკვლევები დაგვჭირდება.

დამატებითმა გამოკვლევებმა სავარაუდო დიაგნოზი დაადასტურა. ექიმმა ყველაფერი პირადად აუხსნა დედას და გააოცა მისმა სიმშვიდემ. თითქოს ის, რაც ექიმისგან ესმოდა, ქალისთვის სულაც არ იყო ახალი ამბავი. ექიმმა მისი სიმშვიდე მშობიარობის შემდგომ შოკს მიაწერა, ყველაფერს ბოლომდე ვერ აცნობიერებსო, – ჩათვალა. ამიტომ გაესაუბრა მამას დაუყოვნებლივ. მამამ დედაზე უფრო ადეკვატურად მიიღო უცნაური სიახლე, მაგრამ კაბინეტიდან ისეთი ზარდაცემული გავიდა, პროფესორს შეეშინდა, გზაში თავს რამე არ უწიოსო.

ეს იყო პირველი შემთხვევა – პირველი ახალშობილი, რომელიც ზინგერ–კვაშალის სინდრომით დაიბადა. პროფესორ ანდრო ვაჩნაძეს თან ახარებდა და თან აშინებდა ეს ამბავი. სამომავლოდ საჭირო იქნებოდა ენდოკრინოლოგთან კონსულტაცია, მერე, ალბათ, ფსიქოლოგის ჩარევაც. მანამდე იქნებ სინდრომის აღმომჩენი მეცნიერებისთვის ეცნობებინა ეს სიახლე...

***

შუადღე იდგა. მებაღე ზაქარია ბზას უტრიალებდა, შეყვითლებულ ფოთლებს სჭრიდა, უკვე მეორედ. არადა, წინა ჯერზე სადეზინფექციო ხსნარით კარგად დაამუშავა. ჩვეულებრივზე იშვიათადაც რწყავდა, რომ ზედმეტ ტენიანობას სოკო არ გაემწვავებინა, მაგრამ დაავადებას მაინც არ ეშველა.

ამ ერთხელაცო, – ფიქრობდა ზაქარია, – ამ ერთხელაც და მერე რამე სხვას დავრგავ ამის ადგილასო.

ახლა ყველაფერს ჭიამაიები ურთულებდნენ – უწესრიგოდ დაფრინავდნენ მთელ ეზოში, ზაქარიას თავს დასტრიალებდნენ. მებაღე დროის უმეტეს ნაწილს მათ მოგერიებას ანდომებდა. ამიტომ ნახევარ საათში მოსამთავრებელ საქმეს საათნახევარს მოუნდა და ფეხის ხმა რომ არ გაეგონა, ვერც შენიშნავდა ეზოში შემოსულ აკაკი მინდელს.

ზაქარიამ შეხედა. არაფერი უკითხავს, თვითონ მეტყვისო, – იფიქრა, მაგრამ აკაკის მებაღისთვის ყურადღება არ მიუქცევია, სადღაც შორს იყურებოდა, სახეზე ფერი არ ედო. ბაღი ჩქარ–ჩქარა გადაჭრა, არც ჭიამაიები შეუნიშნავს.

ზაქარიამ მხრები აიჩეჩა და ბზას ბოლო სამი შეყვითლებული ფოთოლი მოაჭრა.

# ნეტავ, ბულბულად მაქცია...

(ნაწყვეტი)

*ავტორი მადლობას უხდის ოვიდიუსს „მეტამორფოზებში“ ფილომელასა და პროკნეს მითის შეტანისათვის*

*„რადგან ეს კაცების ენაა და მათი გრამატიკა...“*

*ელენ სიკსუ*

**ზინა ძალო, XX საუკუნის შუა ხანები:**

რათ შემოუშვიო! მა რა უნდა მექნა, ქაა! ოჯახის კაცია, მეზობელი, მაგას რას ვიფიქრებდი! მურთაზის კი უყვარდა, ხშირად გადმოდიოდა ჩვენსა, სვამდნენ, ილხენდნენ. მაგას რას ვიფიქრებდი... ყმაწვილი ქალი ვიყავ, ახალი გათხოვილი.

მოიდა და არც არაფერი. მურთაზი შინ არ იყო. გამოუღე: ყველი მქონდა, გუდისა, პური მქონდა, შოთი, მგონი, პამიდორიცა მქონდა – ეგეც გამოუღე. მურთაზი ვენახში იყო სასხლავად, რა ვიცოდი, როდის მოამთავრებდა საქმეს და...

რო წამომაქცია, მე ნაცრის საჩხრეკ ჯოხს დავავლე ხელი. ის არი, უნდა ვდრუბო და არ გამიკავა ხელი?! მაგიდაზე რო ჭიქა იდო მაგისი, იმაში ღვინო კიდე იდგა. მაგიდას თავი აკრა, თუ რა იყო, ჭიქა გადმოვარდა, გატყდა, ღვინო დაიქცა. მაგის დარდი არა მქონდა, მაგრამ თავი მიმარტყმეინა იატაკზე და რა ვიცი, ეს დაქცეული ღვინო კი დამამახსოვრდა და სხვა დამავიწყდა, რაც იყო...

აბა, რას ამბობ! მაგას როგორ ვიტყოდი! ეხლაც სუ ხორცები მეწვის სირცხვილითა. რომც მეთქვა, გამგონი და დამჯერებელი ვინ იყო, შვილო. ოჯახის კაცი იყო, პატიოსანი კაცის სახელი ქონდა...

მე ჯავრისგან იგრე ვიყავ, აღარ ვიცოდი, რა მექნა. ავდექი მეცა და ეგ ფარდაგი მოვქსოვე. არაფერი არაა ზედ, ყვავილების და ჯვრების მეტი, მაგრამ მე კი ვიცი, რა ამბავიც არი. ეგე, ეხლა შენც იცი.

შენ შემოგევლე, შვილო. არავის არ მოუყვე ესა, გენაცვალოს ზინა ძალო, მე რო მოვკვდები, არც მაშინ და არც ეხლა, ჩემ სიცოცხლეში. დედა-ბულბულივით ხმაგაკმენდილი[1] ვარ, ამდენი წელია და ეხლა, ამ სიბერეში, თავი არ მომჭრა, შვილო, შენი ჭირიმე...

**მეშვიდე, ჩვენი დრო:**

კიდევ შემოგვემატნენ. არადა, ამას წინათ ვამბობდით ქალები, ჯერ ეს წელი ახლა დაიწყო, მარტია, და უკვე რვანი ვართო. არ ვიცი, რა ეშველება ამ ამბავს...

მე ქართულის მასწავლებელი ვიყავი. შვილი გვეყოლა და, რა დროს ეგაა, დაჯექი სახლში, ბავშვს მიხედეო. დავუჯერე. გავიდა რამდენიმე თვე და დაკარგა სამსახური. არც მე მიშვებდა სამუშაოდ, ვერც თვითონ პოულობდა რამეს და გვიჭირდა, მოკლედ, ძალიან. კი, მეხმარებოდნენ ჩემები, იმისებიც გვეხმარებოდნენ, მაგრამ მაინც გვიჭირდა. ხშირად ვჩხუბობდით, თითქმის სულ. გაურტყამს. მომითმენია. აქ ვინც ვართ, ყველა ასე ვითმენდით. აქ ვინც ვართ, ყველას ამბავი ეგ არის, სინამდვილეში.

არ ვიცი, რატომ ვითმენდი. მგონი, იმიტომ, რომ ოჯახის დანგრევა არ მინდოდა, მეშინოდა. ახლა ვფიქრობ, ასეთი მამის ყოლას, სულ უმამოდ გაიზარდოს ბავშვი, ის ჯობია, მაგრამ რაღა დროს...

მერე, ერთ დღესაც, ეს მოხდა. არა, მთვრალი არ იყო - საერთოდ, არ სვამდა. რატომ გგონიათ, რომ კაცმა რომ ეგ ჩაიდინოს, აუცილებლად ან მთვრალი უნდა იყოს ან პათოლოგი?! არ არის ასე. ნორმალური კაცი იყო, ჩვეულებრივი, ჩემიც და ამათიც, ყველასი. მეც რაღა იმ დღეს გავლესე ის დანა, იქნებ გადავრჩენილიყავი. კი, დამჭრიდა, მაგრამ მერე რა, შემიხორცდებოდა ის ჭრილობა და მოვმჯობინდებოდი. თან იქნებ ცოტა გონს მოსულიყო თვითონაც, რა ვიცი...

[1] მდედრი ბულბული არ გალობს, გალობს მხოლოდ მამრი.

იცი, ჩვენთან ვინ მოდის? ღვთისმშობელი. აბა, აბა! პირველად რომ მოვიდა, მზესავით ბრწყინავდა. აუჰ, როგორ დავიზაფრეეთ!

ნუ გეშინიათ, მე ვარ, ღვთისმშობელიო.

ჩვენ მაინც გვეშინოდა. მას მერე შავებში ჩაცმული მოდის, მონაზონივით, რომ აღარ შეგვეშინდეს. გულზე დიდი ჯვარი ჰკიდია.

ეს ანგელოზები წელში მოდრეკით ეგებებიან (აი, მანდ რომ არიან, ცეცხლის სვეტებივით, ჰო, ეგენი). ჰოდა, პირველად რომ მოვიდა, მე შევბედე, შეგვიბრალე, დედაო ღვთისავ, მძიმე ასატანია ჩვენი ცხოვრება–მეთქი.

გვიპასუხა:

–ამიტომაც ნიშანს დავადებ ყველა ქალს და შვიდწილად მიეზღვება თქვენს მკვლელებს.

მერე ანგელოზებს მიუთითა ჩვენზე, ესენი საზვერეებს არ გაივლიან, ჩემი ძე მოვა და ჩვენთან წამოიყვანსო.

მას მერე აქა ვართ და ველოდებით, ძველებიც, ახლებიც. მოიცა, ხედავ სინათლეს? აი, იქ. მგონი, მოდის. ნახე, გალობაც ისმის. გაადიიდებთ შეენ ცხოვ–რე–ბის მომ–ცე–მე–ლო ქრიისტეე...

**გოგონა, რომლისთვისაც სახელი არ დაურქმევიათ, ჩვენი დრო:**

გამიშვი. მტკივა.

*ბოდიში, აქ უნდა ჩავერიო – ეს პირველი და უკანასკნელი იქნება. საჭირო რომ არ იყოს, ხომ იცით, არ შეგაწუხებდით, მაგრამ ამან ამ ორი სიტყვის მეტი არ იცის და რა ვქნა? მხოლოდ ეს სიტყვები ესმოდა გარედან, უფრო ზუსტად, დედამისის პირიდან, და იმიტომ. მათ მნიშვნელობას კი მაშინ მიხვდა, როცა მეტალის ხელსაწყომ თავზე მოუჭირა. დანარჩენი აღარ უგრძნია. ჰოდა, ჩვენც შევეშვათ მას და ჩვენი მზერა ექიმს მივაპყროთ.*

*ექიმი ვერ ხედავს, რას აკეთებს, თუმცა არის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ხვდება, სწორად მოქმედებს თუ არა. პირველი ნიშანი ტკაცანია – ესე იგი, ნაყოფის თავი მაშამ გასრისა. ახლა ექიმი ყურადღებით უნდა იყოს, რომ მის მარჯვნივ, საპროცედურო მაგიდაზე – მანდვე, ხედავთ? აი, მეტალისა რომ არის, ვერცხლისფერი და გორგოლაჭებიანი, ჰოო, ეგ – რომ საპროცედურო მაგიდაზე იყოს: ზუსტად ორი ფეხი, ზუსტად ორი ხელი, თავი და ტანი. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან თუ ნაყოფის მცირე ნაწილი მაინც დარჩა საშვილოსნოში, სახიფათო გართულებებს გამოიწვევს.*

*რა საჭიროა ასეთი სისასტიკე, ნუთუ სხვა გზა არ არსებობს? არა, რადგან ნაყოფი მეტისმეტად დიდია ამოტუმბვისათვის (თუმცა არც ეს მეთოდია უვნებელი და უმტკივნეულო – აბორტი, ზოგადად, არ არის უვნებელი და უმტკივნეულო!). სისასტიკე კი აუცილებელია – ამის*

*მშობლებს უკვე ხუთი გოგო ჰყავთ და ახლა თუკი სურთ შვილი, მხოლოდ – ბიჭი, ეს კი გოგოა (ისევ!).*

*აი, ჩვენმა ექიმმაც დაასრულა ოპერაცია. საგანგაშო არაფერია – მხოლოდ მცირე სისხლდენა და ზოგადი სისუსტე, რომელიც მალე გაივლის.*

**პაციენტი No.5[2], ნებისმიერი დრო:**

მე იმან ის, როცა და... ის ის და ეს ასე მე რომ არ და ისეც. და იმას იმით და მეც. შენ? შენ და ის რომ ისა... და ჩემი ეს და თავისი ის და ასე ასე ასე ასე... მე არა არა არა არა. იმან მაინც ისე, რომ მე არა და იმან ეს. რაც და როგორც, ისე და არ... მე არ... აღარ, აღარ, აღარ, აღარ... არა, არა, არა, არა, არაااა! (ხელებს იქნევს)

იქ, იქ და აქ და მანდ და ყველა და ჩვენ და მე და შენ და ის და თქვენ და ისინი! ყველა! ყველა! ყველა! მე იგი იმან, როგორც, სადაც ისე და არამედ მაშინ, როცა ეს... შენ სად? ესენი სად? სად?! სად?! სად?! (ხელებს შლის)

მე არა, არა, არა! არავინ! არასოდეს! არაფერი... ჩემი, მისიც, შენი, თქვენი, იმათი, ჩვენი, ჩვენი, ჩვენი! (მუშტები შეკრა)

მე, მე აღარ, ოღონდ აღარ... აღარ... აღარ... აღარ... (თავს აქნევს)

**პაციენტი No.16, ნებისმიერი დრო:**

[2] აფაზია – რომან იაკობსონის აზრით, მეტყველებისას ორი ოპერაცია ხორციელდება: სელექცია (სამეტყველო ერთეულების შერჩევა) და კომბინაცია (სამეტყველო ერთეულების დაკავშირება ერთმანეთთან). მაგალითად, ჩვენ ვარჩევთ საჭირო სიტყვებს (სელექცია) და შემდეგ მათი გამოყენებით ვაგებთ წინადადებას (კომბინაცია). აფაზია არის ნევროლოგიური დარღვევა, როდესაც იკარგება სელექციის ან კომბინაციის უნარი. თუ სელექციის უნარს კარგავს პაციენტი, პირველი, რაც მისი მეტყველებიდან გაქრება, არის: არსებითი სახელები, რიცხვით სახელები, ზმნები, ზედსართავი სახელები. რაკი კომბინაციის ფუნქცია შენარჩუნებულია, უკიდურეს შემთხვევაში, პაციენტის მეტყველება მხოლოდ კავშირებსა და ნაცვალსახელებს შემოინახავს. უფრო რთულადაა საქმე, თუკი კომბინაციის უნარი დაქვეითდა – კომბინაცია მხოლოდ წინადადების დონეზე როდი ხორციელდება, სიტყვებიც კომბინაციებია, რადგან ფუძისა და აფიქსებისაგან შედგება, რომლებიც, თავის მხრივ, შედგება ასოებისაგან. შესაბამისად, მეორე ტიპის აფაზიის ბოლო სტადიისას პაციენტი საერთოდ კარგავს მეტყველების უნარს. უფრო დაწვრილებით იხ. : Jakobson, Roman. 1998. Chapter 7: Two Aspects of Language and Two Types of Aphasic Disturbances. In *On Language,* Ed. Linda R. Waugh and Monique Monville-Burston, 115-134. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.

**პატარა ქალის ნატვრა (ხალხური):**

ნეტავი რადმე მაქცია,

ბულბულად გადამაქცია,

ბულბულის ენა მასწავლა,

ამ ბაღებს შემომაჩვია.